პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 89 (10175)

პარასკევი, 15 აპრილი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ავსტრიის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა სადილი გამართა ავსტრიის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

პარტიისა და მთავრობის მოწოდებით — კოლმეურნეობებში სამუშაოდ! (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინის დაბადების 85 წლისთავისათვის. — ვ. ესაიაშვილი. — ვ. ი. ლენინი 1905-1907 წლების რევოლუციის შესახებ საქართველოში (მე-2 და მე-3 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. — კამათი საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო (მე-2 გვერდი).

გ. ვაშაძე. — სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა (მე-3 გვერდი).

დ. ტრუნოვი. — მეგობრობის კონცერტი (მე-3 გვერდი).

ა. ჯავაშვილი. — როცა ავტომობილებს არ უვლიან და მძღოლებს შორის მუშაობას უგულებელყოფენ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მტს-ი გადამწყვეტი ძალაა მეცხოველეობაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა შეიმუშავა სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა. მეცხოველეობის პროდუქტების მნიშვნელოვან გადიდებასთან ერთად განუზომლად მაღლდება მტს-ების როლი და პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ დარგის განვითარებაში.

საქართველოს მტს-ებმა სატრაქტორო სამუშაოთა გასული წლის სახელმწიფო გეგმა 114,8 პროცენტით შეასრულეს. ჩვენში არიან მტს-ები, რომელთა მუშაკებს კარგად აქვთ შეგნებული მათ წინაშე დასახული ამოცანები საზოგადოებრივი მეცხოველეობის საქმეში. მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი, თელავის, გურჯაანის, ველისციხის, ქობულეთის მტს-ები.

მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მთელ რიგ მტს-ებს დღემდე სათანადოდ არ მოუკიდიათ ხელი მეცხოველეობის ფერმებში ძირითად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. ამის გამო შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დავალებანი არ სრულდება. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის წყლის ავტომატური სარწყულებლები მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის მოწყობილი იყო მხოლოდ 78 ფერმაში ნაცვლად 150 ფერმისა. უხეში და კონცენტრირებული საკვების გადამუშავება ხდება 384 ფერმაში, მაშინ როცა ეს სამუშაო 428 ფერმაში უნდა იყოს მოწყობილი. საკვების დაორთქლვა წარმოებს 165 ფერმაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 523 ფერმისა.

მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის ძალიან ცოტას აკეთებენ ბოგდანოვკის, ვაჩიანის, ახალქალაქის, ბარალეთის, ბორჯომის მტს-ები. წალკის მტს-ის არცერთ ფერმაში შრომატევადი სამუშაოები მექანიზებული არ არის.

რით აიხსნება მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დაბალი დონე ზოგიერთ მტს-ში? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მტს-ებისა და მექანიზაციის მთავარი სამმართველო კონკრეტულად, ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ მტს-ებს და არასაკმაოდ ეხმარებიან მათ მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მოწყობაში. ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მთელი რიგი რაიონული, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არასაკმაო ყურადღებას აქცევენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს და აგვიანებენ მექანიზაციასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების დროულად გადაჭრას. ამ მდგომარეობას არ შეიძლება შევურიგდეთ. ამჟამად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ფერმებში მოეწყოს წყალმომარაგების მექანიზაცია და ავტოსარწყულებლები.

მეცნიერული მონაცემებით და საკოლმეურნეო პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ თუ ძროხას საშუალება აქვს დალიოს ავტოსარწყულებლებით წყალი რამდენიც უნდა და როცა მოესურვება, მაშინ წველადობა დღეღამეში 10-15 პროცენტით დიდდება.

წყალმომარაგების საკითხებთან ერთად უნდა ვიზრუნოთ ფერმის შენობების წესრიგზე მოყვანისათვის, საკვების დაგროვების, მისი მექანიზებული წესით შემზადების, ფერმებში ელექტროსინათლის გაყვანისათვის.

როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ისე მეცხოველეობაშიც საქმის წარმატებას ადამიანები, კადრები წყვეტენ. დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის ფერმების სამონტაჟო, ელექტროსამონტაჟო და საწყალსადენო სამუშაოთა საჭიროებისათვის კადრების მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. ტრაქტორისტებისა და კომბაინერების სწავლებასთან ერთად აუცილებელია სისტემატურად მოეწყოს კოლმეურნე მექანიკოსების მომზადება მეცხოველეობაში არსებული მანქანების სწორად გამოყენებისათვის.

დიდად გაიზარდა მტს-ების პასუხისმგებლობა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა უზრუნველყონ საკვები კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და თავის დროზე შესრულება, ამ კულტურების ნათესების მექანიზებული დამუშავება, მწვანე მასის დასილოსება. საჭიროა მტს-ებმა გააძლიერონ თავიანთი როლი თივის დამზადებაშიც. ისინი არ უნდა დაკმაყოფილდნენ ბალახების მარტო მოთიბვით, არამედ ყოველი ღონისძიება მიიღონ თივის მექანიზებული წესით დაზვინვისათვის.

ახლა მიმდინარეობს სიმინდის — ამ ძვირფასი მარცვლეული და სასილოსე კულტურის — მასობრივი თესვა. აპრილი სიმინდის თესვის გადამწყვეტი თვეა. მტს-ების მუშაკთა ღირსების საქმეა ორგანიზებულად მოაწყონ სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა, სათანადო დასკვნები გააკეთონ გასული წლის მწარე გაკვეთილიდან, როცა ზოგიერთ მტს-ში ვერ გამოიყენეს სათესი მანქანები, რის გამო არ შესრულებულა კვადრატულ-ბუდობრივად თესვის დავალება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა გადაუდებელი ამოცანები დასახა მეცხოველეობის პროდუქტიულობის წარმოების გადიდების, მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვის საქმეში.

მეცხოველეობის დარგში კომპლექსური მექანიზაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, თუ საფუძვლიანად გაუმჯობესდება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა მიაღწიონ იმას, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები უახლოეს ხანში გადამწყვეტი ძალა გახდნენ მეცხოველეობაში.

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო

ავსტრიის მთავრობის დელეგაცია

13 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ავსტრიის მთავრობის დელეგაციის მეთაური ავსტრიის ფედერალური კანცლერი ბ-ნი ი. რააბი და დელეგაციის წევრები ვიცე-კანცლერი ბ-ნი ა. შერფი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ლ. ფიგლი და საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ბ-ნი ბ. კრეისკი. დელეგაციას თან ახლდა ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ნ. ბიშოფი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და უმაღლესი კომისარი ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვი.

მიღების დროს ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ბ-ნმა ი. რაბბმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს გადასცა ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტის თეოდორ კერნერის წერილი. წერილში გამოთქმულია თხოვნა — შეიწყალონ ის ავსტრიელები, რომელნიც საბჭოთა კავშირში სასჯელს იხდიან დანაშაულისათვის, რაც მათ ომის დროს საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინეს. „თუნდაც მათ მიუძღოდეთ რამე ბრალი, რაც უნდა გამოისყიდონ საბჭოთა კანონების მიხედვით, — ნათქვამია ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტის წერილში, — მას შემდეგ, რაც ათ წელიწადს და მეტ ხანს ტყვედ იმყოფებიან და მოშორებული არიან სამშობლოსა და ოჯახს, ისინი ასეთი შეწყალების ღირსი გახდნენ“.

წერილში შემდეგ ნათქვამია:

„შეწყალების ეს დიდსულოვანი აქტი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰუმანურობის სახელით მოახდენს, იქნება უმშვენიერესი საჩუქარი, რომელიც საბჭოთა კავშირს შეუძლია უძღვნას ავსტრიის რესპუბლიკას მისი აღდგენის მე-10 წლისთავის გამო, აღდგენისა, რომელშიც სსრ კავშირმა განსაკუთრებული მონაწილეობა მიიღო. საბჭოთა ხალხს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ყველა ავსტრიელი პატიოსან, ღრმა მადლობას გამოთქვამს ასეთი დიდსულოვანი აქტისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ავსტრიის კანცლერ ბ-ნ ი. რაბს განუცხადა, იმედი მაქვს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კეთილმოსურნეობით მოეკიდება ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ამ თხოვნასო. (საკდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

ამ დღეებში მოქანდაკე ვ. ჩხეიძემ დაამთავრა ვ. ი. ლენინის კომპოზიციური ქანდაკება, რომლის სიმაღლე 3 მეტრია.

ფოტო შ. გოქაძისა.

ვ. ი. ლენინის დღეების აღსანიშნავად

ფოთი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავის აღსანიშნავად პარტიის საქალაქო კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი. მოეწყო აგიტ-კოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტპუნქტების გამგეების სემინარი.

საქალაქო კომიტეტის ლექტორებისა და აგიტატორების მიერ ქალაქის საწარმოებში, დაწესებულებებში და ახალშენებლობებზე, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში იმართება საუბრები და მოხსენებები დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

საქალაქო კომიტეტის პარტიულ ბიბლიოთეკაში, სამკითხველოებში და ქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო გამოფენები, მიძღვნილი დიდი ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი.

* * *

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 85 წლისთავს. საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში ეწყობა ლექცია-მოხსენებები თემებზე „ვ. ი. ლენინი—მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი“, „ლენინისა და სტალინის დიადი თანამეგობრობა“, „ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „31 წელი ულენინოდ, ლენინური გზით“.

რაიკომის პარტიულ ბიბლიოთეკაში, საქალაქო და რაიონულ ბიბლიოთეკებში მოეწყო ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა.

რაიონის 1.500-ზე მეტი აგიტატორი მართავს საწარმო-დაწესებულებებში და მოსახლეობაში საინტერესო საუბრებს დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა სადილი გამართა

ავსტრიის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

გუშინ, 14 აპრილს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა ავსტრიის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც მოსკოვში იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

სადილზე იყო ავსტრიის მთავრობის დელეგაციის მთელი შემადგენლობა — ავსტრიის ფედერალური კანცლერი ი. რაბბი, ვიცე-კანცლერი ა. შერფი, საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფიგლი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ბ. კრეისკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი დესპანი ი. შენერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლის განყოფილების უფროსი დესპანი ს. ვეროსტა და მათი თანმხლები პირები.

სადილზე იყვნენ აგრეთვე ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნ. ბიშოფი, საელჩოს მდივანი გ. გრუბმაიერი და საელჩოს ატაშე კ. შვარცი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. კირიჩენკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და უმაღლესი კომისარი ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ი. ს. კონევი და ვ. დ. სოკოლოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ვ. ა. ზორინი, პ. ნ. კუმაკინი, ვ. ს. სემიონოვი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ფ. ჟიგარევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. ფ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-3 ევროპული განყოფილების გამგე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ე. დ. კისელიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-3 ევროპული განყოფილების გამგის მოადგილე მ. გ. გრიბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სადილის დროს მოხდა სიტყვების გაცვლა.

სადილმა მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

პარტიისა და მთავრობის მოწოდებით—კოლმეურნეობებში სამუშაოდ!

პარტიისა და მთავრობის მოწოდებამ საკოლმეურნეო სოფლისათვის ხელმძღვანელი კადრებით დახმარების შესახებ ღრმა ინტერესი გამოიხმაურა ჰპოვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივში. ამასთან დაკავშირებით აქ გაიმართა პროფესორ-მასწავლებლთა და მუშა-მოსამსახურეთა კრება. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა დამსწრეთ გაცნო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. სეხნიაშვილმა.

— სულით და გულით ვიწონებ, — განაცხადა მეღვინეობის კათედრის გამგემ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ნ. გელაშვილმა, — პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას ჩამორჩენილი კოლმეურნეობების კადრებით განმტკიცების შესახებ. ჩემი სურვილია წავიდე კოლმეურნეობაში ხელმძღვანელ სამუშაოზე და უშუალო მონაწილეობა მივიღო მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლაში.

სოფლად მუდმივ სამუშაოდ წასვლის მზურვალე სურვილი გამოთქვეს აგრეთვე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ი. მოსაშვილმა, ასისტენტმა დ. ცეცხლაძემ, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ზ. აბაზაძემ, პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ლექტორმა ნ. კიწმარიშვილმა და ასისტენტმა ი. ფარჯანაძემ.

* * *

ცამეტ აპრილს თბილისის კიროვის სახელობის ქარხანაში შედგა მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცებაში სოფლისათვის დახმარების გაწევის შესახებ.

ქარხნის მოწინავე ადამიანებმა გამოთქვეს სურვილი წავიდნენ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე. მათ შორის არიან: მექანიკური საამქროს უფროსი ოსტატი ო. სოხაძე, ამავე საამქროს ოსტატი ს. ვერკინი, ამწყობი საამქროს უფროსი ოსტატი მ. სპიცინი და სხვები.

* * *

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში რუსთავის საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებები, რომლებზეც განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას კოლმეურნეობების ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცების შესახებ.

კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე გაგზავნის შესახებ პარტიის საქალაქო კომიტეტში განცხადებები შეიტანეს: ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის საბინაო-კომუნალური განყოფილების უფროსმა ზ. გაჩეჩილაძემ, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ეფრემოვმა, კავშირგაბმულობის საქალაქო განყოფილების უფროსმა პ. სარიევმა, სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილნამზადის საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ი. გოცირიძემ და სხვებმა.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

დაწინაურებული მძიმეწონოსნები

თბილისის საელმავლო დეპოს მძიმეწონოსნებმა მარტში, საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის პირველ თვეს, გადაიყვანეს მძიმე წონის 443 მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 96.131 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. მემანქანეებმა შ. გვენეტაძემ და გ. ბოგვერაძემ იმავე თვეში გადაიყვანეს 25 მძიმე წონის მატარებელი და გადაზიდეს 7.595 ტონა ტვირთით მეტი, ვიდრე ნორმით იყო გათვალისწინებული.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ აგრეთვე მძიმეწონოსნები ა. ბატკუაშვილი და გ. ჩიტიაშვილი.

ძსოვილი გეგმის გადამეტებით

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივმა ფართოდ გააჩაღა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება და პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 43.320 მეტრი შალის ქსოვილი; აქედან 20.686 მეტრი გამოუშვა მარტში. კამვოლური დართვის საამქრომ მარტის დავალება 125,2 პროცენტით შეასრულა, მაუდის დართვის საამქრომ კი — 122,1 პროცენტით.

ოსტატის თანაშემწის გ. კრაწაშვილის მქსოველთა ბრიგადამ მარტში გეგმის გადამეტებით 486 მეტრი შალის ქსოვილები გამოუშვა. მის მიერ გამოშვებული პროდუქციის 98 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს აგრეთვე მქსოველთა და მრთველთა ბრიგადებმა, რომლებსაც ვ. შერეშოვი და ლ. კრასნოვა ხელმძღვანელობენ.

ახალი ენთუზიაზმით

ქუთაისი. (საკ. კორ.). ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზაზე და ახალშენებლობებზე მშრომელები ენთუზიაზმით მუშაობენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ლიტოპონის ქარხნის კოლექტივმა 28 მარტისათვის შეასრულა კვარტალური დავალება და თვის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით სამშობლოს მისცა 100 ტონა პროდუქცია. ლიტოპონელებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი მაღალხარისხოვანი შაბიამანის გამოშვებაში.

მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა 25 პროცენტით გადაამეტა კვარტალის გეგმას და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ასობით ვაგონი სხვადასხვა სახის პროდუქცია გაგზავნა.

— 200 ათასი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი გეგმის გადამეტებით! — ასეთია ქუთაისელ მკერავთა საპირველმაისო ვალდებულება, რომლის წარმატებით შესრულებისათვის ისინი ბათუმელ კოლეგებს ეჯიბრებიან. ენთუზიასტებმა აპრილის პირველსავე დღეებში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ბათუმი, 14 აპრილი. (საკდესი). გაიმართა აჭარის ასსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

სესიამ მოისმინა აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ს. ს. ჯიჯეიშვილის მოხსენება აჭარის ასსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და აჭარის ასსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

აჭარის ასსრ სახელმწიფო ბიუჯეტი განსაზღვრულია როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში 124.226 ათასი მანეთის ოდენობით. ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის შეადგენს ბიუჯეტის მთელი მოცულობის 80.5 პროცენტს და 3.291 ათასი მანეთით აღემატება გასული წლის ასიგნებებს. მნიშვნელოვანი თანხებია გამოყოფილი სამალხო მეურნეობის დასაფინანსებლად.

კამათში გამოსული დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ აჭარის ასსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სავსებით შეესაბამება ამოცანებს, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის წინაშე მეხუთე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, გამოხატავს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის. აღნიშნეს რა ნაკლოვანებანი ადგილობრივი პრეფველობის, ჯანმრთელობის დაცვის ქსელისა და სავაჭრო ორგანიზაციების ცალკეული უბნების მუშაობაში, დეპუტატებმა გააკრიტიკეს აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვისა და ვაჭრობის სამინისტროების სუსტი ხელმძღვანელობა.

უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა 1954 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და რესპუბლიკის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

სესიამ აირჩია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და დამტკიცა აჭარის ასსრ მთავრობის შემადგენლობა. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი რ. მ. კომახიძე. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია დეპუტატი. ა. დ. თხილაიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

კამათი საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ვ. დ. კოზაევის სიტყვა

(სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! სამხრეთ ოსეთის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესასრულებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მარტო ადგილობრივი მრეწველობის ხაზით 1954 წელს 1952 წელთან შედარებით წარმოების ზრდამ შეადგინა 42,5 პროცენტი, ხოლო კაპიტალდაბანდებანი განვლილი ორი წლის მანძილზე გაიზარდა 14-ჯერ და უფრო მეტად. გასულ წელს წარმატებით შესრულდა პროდუქციის გამოშვების და თვითღირებულების შემცირების პროგრამა.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებთან ერთად ჩვენს ტერიტორიაზეა საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების დიდი სამრეწველო საწარმოები. ოლქში წარმატებით ვითარდება სამთო-მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა.

დიდი სახსრები ხმარდება საბინაო მშენებლობას. უახლოესი ორი წლის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 7 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი 200 კაცისათვის.

დღითიდღე მშვენიერდება საოლქო ცენტრი ქალაქი სტალინირი. თანდათან უფრო კეთილმოწყობილი ხდებიან რაიონული ცენტრები ჯავა და ზნაური, სადაც წელს შენდება კულტურის სახლები, იწყება კავშირგაბმულობის ახალი კანტორების მშენებლობა. დამთავრებულია და ამ დღეებში ამუშავდება ტირიფონჰეს-სტალინირის ახალი ელექტროგადამცემი ხაზი. მიმდინარე წლიდან იწყება 3.000 კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ვანათის წყალსაგდებზე.

იბრძვიან რა იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და იანვრის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებანი, სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა მიაღწიეს ერთგვარ წარმატებებს სოფლის მეურნეობის დარგშიც.

უკანასკნელ ხანს ოლქში დამატებით მოეწყო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ორი მძლავრი მანქანა-ტრაქტორთა სადგური, მნიშვნელოვნად განმტკიცდა ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი. ამჟამად სასოფლო-სამეურნეო არტელებში მუშაობს სოფლის მეურნეობის 250-მდე სპეციალისტი. კოლმეურნეობებში თავმჯდომარეებად საოლქო და რაიონული აპარატიდან გაგზავნილი არიან გამოცდილი ხელმძღვანელი მუშაკები.

ყოველივე ამან ხელსაყრელი პირობები შექმნა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, კოლმეურნეობების სიმდიდრის გადიდებისათვის. კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები 1954 წელს გადიდდა 5,5-ჯერ 1940 წელთან შედარებით. ფულადი შემოსავალი კოლმეურნეობებში 1954 წელს 1953 წელთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა, მიუხედავად დიდი ზარალისა, რასაც ადგილი ჰქონდა მეცხოველეობაში გასული წლის ზამთარში.

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ჩვენმა მეცხოველეებმა გააუმჯობესეს პირუტყვის მოვლა. საკმაო რაოდენობით არის დამზადებული უხეში და წვნიანი საკვები. სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითის მიხედვით ხორციელდება ფერმების მექანიზაცია აგრეთვე სოფლების ავნევის, მუგუთის, წინაგარის და სხვა არტელებში, მრავლდება მოწინავე კოლმეურნეობათა რიგები. წველადობა ოლქში წინა წელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა.

ყოველივე ამის მიუხედავად ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ჩვენ არ დავზოგავთ ძალღონეს ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა ხალხის კეთილდღეობისათვის მკაფიოდ ჩანს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტშიც.

1955 წელს სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტის მოცულობა უდრის 65.256 ათას მანეთს, რაც 1946 წლის ბიუჯეტს 65 პროცენტით აღემატება.

ჩვენი ოლქის ბიუჯეტი უზრუნველყოფს სამხრეთ ოსეთის მთელი სახალხო მეურნეობის შეუფერხებლად დაფინანსებას და კულტურისა და მეცნიერების განვითარებას. 1955 წლის ბიუჯეტის მოცულობიდან 82,5 პროცენტი დაიხარჯება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. ამ თანხიდან სახალხო განათლებისათვის გათვალისწინებულია 32.600 ათასი მანეთი. ახლა ოლქში მუშაობს 350-ზე მეტი დაწყებითი, 8-წლიანი და საშუალო სკოლა, რომლებშიც 21.557 მოსწავლეა. გარდა ამისა, სტალინირში არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, 5 ტექნიკუმი და მუსიკალური სკოლა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამხრეთ ოსეთი იქცა წერა-კითხვის მცოდნე.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. საკმარისია ითქვას, რომ რევოლუციამდე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოიპოვებოდა ერთადერთი სამკურნალო დაწესებულება ორი მკურნალით. ამჟამად კი სტაციონარული და ამბულატორიული სამკურნალო დაწესებულებების რიცხვი 91-მდე გაიზარდა. ოლქში მუშაობს მედიცინის 1.282 მუშაკი, მათ შორის 207 ექიმი. ასიგნებანი ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებისათვის წელს შეადგენს 12.241 ათას მანეთს, ე. ი. სამჯერ მეტს, ვიდრე 1940 წელს.

ფართოდ განვითარდა ავტონომიური ოლქის ლიტერატურა და ხელოვნება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღიზარდნენ ადგილობრივი იხტელიგენციის კადრები.

მოსახლეობის კულტურული მომსახურების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული 112 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. ამ დაწესებულებათა შენახვისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 3.823 ათასი მანეთი.

მთლიანად სამხრეთ ოსეთის 1955 წლის ბიუჯეტი შეესაბამება მშრომელთა მოთხოვნილებებს. მაგრამ ბიუჯეტში არასაკმარისად არის გათვალისწინებული ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების დაფინანსება.

ჯავის რაიონის ხვწის 8-წლიანი სკოლის შენობა დაინგრა. მოსწავლეები შეუფერებელ შენობებში მეცადინეობენ. გარდა ამისა, სასკოლო შენობები ქალაქ სტალინირში გადატვირთულია და მოსწავლეთა არსებულ კონტინგენტს ვერ იტევს.

საჭიროა ქალაქში და სოფელ ხვწეში აიგოს ორი სასკოლო შენობა, რისთვისაც საჭირო იქნება წელს დაიხარჯოს 1.250 ათასი მანეთი.

ოლქის ბიუჯეტში სრულებით არ არის გათვალისწინებული სახსრები ქალაქის კეთილმოწყობის კაპიტალურ სამუშაოებზე. საჭიროა ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას ქალაქის კეთილმოწყობისათვის 150 ათასი მანეთი.

დამთავრდა ტირიფონჰეს-სტალინირის მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზის მშენებლობა. მაგრამ ქალაქ სტალინირს არ შეუძლია მთლიანად მიიღოს ელექტროენერგია ტირიფონჰესიდან, ვინაიდან ელექტროქსელი რეკონსტრუქციას საჭიროებს. ვითვალისწინებთ რა ელექტროენერგიის ნაკლებობას, გთხოვთ ქალაქის ელექტროქსელის რეკონსტრუქციისათვის ბიუჯეტში გათვალისწინოთ 350 ათასი მანეთი.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებას ჩვენი რესპუბლიკისათვის აქტუალური სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ვთხოვ სესიას გათვალისწინოს ჩვენი საჭიროებანი და საბიუჯეტო დაფინანსება გაგვიდიდოს საერთოდ ჩვენს ოლქში 2.135 ათასი მანეთით.

გამოვხატავ რა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ნებას, მთლიანად ვუჭერ მხარს წინადადებას იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი გაკეთებული შენიშვნების გათვალისწინებით. (ტასი).

დეპუტატ ს. ვ. დურმიშიძის სიტყვა

(საჩხერის რაიონის კორბოულის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! 1954 წელი კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული პროგრამის — სოციალისტური სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის პროგრამის — განხორციელებისათვის მთელი საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის წელი იყო.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ გასულ წელს ერთგვარ წარმატებებს მიაღწია. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შესრულდა უფრო მოკლე აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად. მნიშვნელოვნად გაიზარდა კარტოფილის, თამბაქოს, საკვები და სხვა კულტურების სათესი ფართობები. გადიდდა მექანიზაციის დონე ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმა შესრულდა 112,4 პროცენტით. გასულ წელს წინა წელთან შედარებით ხორბლის მოსავლიანობა გადიდდა ჰექტარზე 2,5 ცენტნერით, ქერის მოსავლიანობა — 5,5 ცენტნერით. ხორბლის მაღალი მოსავალი მიიღო წითელწყაროს, სიღნაღის, ლაგოდეხის, კაჩრეთის, გურჯაანის, მარნეულის საგარეჯოსა და სხვა რაიონების ბევრმა კოლმეურნეობამ და ბრიგადამ. გადაჭარბებით შესრულდა ყურძნის მოსავლიანობის გეგმაც, აგრეთვე ჩაის ფოთლის, ხილისა და ყურძნის დამზადების გეგმები. 1954 წლის შემოდგომაზე თავთავიანი კულტურების პროგრესული მეთოდებით თესვის გეგმა 113,1 პროცენტით იქნა განაღდებული.

დღითიდღე მტკიცდებიან საქართველოს კოლმეურნეობები, იზრდება კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო საშუალებების ღირებულება და განუყოფელი ფონდები. გასულ წელს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი. თუ 1953 წელს საქართველოში 507 მილიონერი კოლმეურნეობა იყო, შარშან 567 მიაღწია.

მიუხედავად ამ ერთგვარი მიღწევებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობას მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი მთლიანად შეეხება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას. მეცხოველეობა რესპუბლიკაში საკოლმეურნეო წარმოების ყველაზე უფრო ჩამორჩენილი, დაბალშემოსავლიანი დარგია. შეუწყნარებლად დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. გასულ წელს რესპუბლიკაში თვითეულ საფურაქე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებულ 850 კილოგრამი რძის ნაცვლად მიღებულ იქნა მხოლოდ 521 კილოგრამი. მთელ რიგ რაიონებში პირუტყვის ცუდი კვებისა და მისი ცუდი მოვლის გამო წველადობა კიდევ უფრო დაბალია. მაგალითად, ერთ საფურაქე ძროხაზე 200 კილოგრამზე ნაკლები რძე მიიღეს ფოთის, ხობის, ოჩამჩირის, გალის და გუდაუთის რაიონებმა. ეს მაშინ, როდესაც ამავე რაიონებში არა ერთსა და ორ კოლმეურნეობას აქვს წველადობის მაღალი მაჩვენებელი.

არადამაკმაყოფილებელია საზოგადოებრივი მეცხოველეობის სტრუქტურული შემადგენლობა. 1955 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ძროხებინ ხვედრითი წონა მსხვილფეხა პირუტყვის ჯოგში შეადგენს მხოლოდ 23,2 პროცენტს. ამავე დროს გასულ წელს ძროხების სულადობის 43 პროცენტი ბერწად დარჩა.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის და მისი პროდუქტიულობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მტს-ები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ დიდმნიშვნელოვან დარგს.

გასულ წელს რესპუბლიკაში ვერ იქნა შესრულებული საკვები კულტურების თესვის გეგმა. ვერ შეასრულეთ აგრეთვე თივისა და უხეში საკვების დამზადების დავალება.

საჭიროა ახლავე მივიღოთ გადამჭრელი ზომები, რომ უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის სულადობა კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვებით. საკვების წარმოების გადიდების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიმინდის კულტურას.

ქართველ გლეხობას აქვს ამ მაღალმოსავლიანი კულტურის მოყვანის მდიდარი გამოცდილება. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ამ ძვირფასი კულტურის მოყვანის საქმეს. 1954 წელს სიმინდის მეტად დაბალი მოსავალი მიიღეს ზესტაფონის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, ოჩამჩირის, აბაშის, ცხაკაიას, ქუთაისის, სამტრედიის, წულუკიძის და სხვა მტს-ების ზონის კოლმეურნეობებმა.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კვადრატულ-ბუდობრივ თესვას. გურჯაანის, ულიანოვკის, კაჩრეთის, ბადიაურის, ალაზნის, ტიბაანის, ახმეტის, თამარისის და მცხეთის მტს-ებმა კარგად მოაწყეს ამ წესით დათესილი ნათესების მოვლა-დამუშავება და, მიუხედავად ჰავის არახელსაყრელი პირობებისა, შარშან სიმინდის მაღალი მოსავალი მიიღეს.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ ფართოდ დავნერგოთ წელიწადში სიმინდის ორი მოსავლის მიღება. ამ მხრივ ყურადღების ღირსია აგრონომ ა. ჯორბენაძის გამოცდილება, რომელმაც მის მიერ გამოყვანილი ჰიბრიდული თესლით ბათუმის რაიონის კიროვისა და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში შეძლო გასულ წელს მიეღო სიმინდის ორი მოსავალი.

ჩვენი რესპუბლიკის მდიდარი ბუნებრივი პირობები, გრძელი სავეგეტაციო პერიოდი და სითბისა და სინათლის სიუხვე საშუალებას იძლევა მთელ რიგ რაიონებში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ მიღებულ იქნას სანაწვერალო სიმინდის მოსავალი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა ახალი ამოცანები დააყენა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა წინაშე. ჩვენი მტს-ები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას. მნიშვნელოვანწილად ამით უნდა აიხსნას მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს მტს-ებს.

ჩვენს წინაშე დგას ტექნიკური კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავების შემდგომი განვითარების ამოცანა. რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად ვითარდება მეთამბაქოობა, მეჩაიეობა, მევენახეობა-მებაღეობა, მეაბრეშუმეობა. ციტრუსოვანი კულტურების განვითარება კი მეტად შეაფერხა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ორჯერ გამეორებულმა ყინვებმა. ამჟამად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჩაის თესვა, ახალგაზრდა ჩაის პლანტაციების მოვლა, ციტრუსების დამუშავება და მათი აღდგენის სამუშაოები.

მომხსენებელმა დეპუტატმა ჩხეიძემ და ზოგიერთმა დეპუტატმა სამართლიანი კრიტიკული შენიშვნები გააკეთეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი ძირეული ორგანოების მუშაობის შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობა მიიღებს ყველა საჭირო ღონისძიებას იმისათვის, რომ უმოკლეს დროში გამოსწორდეს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებს ჩვენს მუშაობას.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილ ბიუჯეტში დიდი სახსრებია გათვალისწინებული 1955 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, რითაც შექმნილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებათა წარმატებით შესრულების საფუძვლები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და ადგილობრივი ორგანოების დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები. (ტასი).

ვ. ი. ლენინის დაბადების 85 წლისთავისათვის

ვ. ი. ლენინი 1905—1907 წლების რევოლუციის შესახებ საქართველოში

კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და ბელადი, რევოლუციის დიდი სტრატეგი ვ. ი. ლენინი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს 1905-1907 წლების რევოლუციის განვითარებას საქართველოში, დაუყოვნებლივ ეხმაურებოდა ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას და თავისი ბრძნული რჩევა-დარიგებითა და მითითებებით წარმართავდა საქართველოს ბოლშევიკების მუშაობას მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლების ორგანიზაციის საქმეში.

ვ. ი. ლენინის მრავალ შრომაში, სტატიებისა და წერილების პირველ-დელ მონასახებში, მის პირად მიმოწერაში, სხვადასხვა წყაროებიდან ამონაწერების რვეულებში მოცემულია უაღრესად საინტერესო შეხედულებანი 1905-1907 წლების რევოლუციის შესახებ საქართველოში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს მუშათა და გლეხთა გმირული ბრძოლების სახელოვანი ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის.

* * *

ვ. ი. ლენინმა შვეიცარიაში შეიტყო პეტერბურგში მოძხდარი ამბები. მან მეორე დღესვე დაწერა სტატია „რევოლუცია რუსეთში“, რომელშიც 9 იანვრის ამბები შეაფასა როგორც რევოლუციის დასაწყისი და მხურვალედ მოესალმა აჯანყებულ პროლეტარიატს. ამ სტატიაში ლენინმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ „პეტერბურგის პროლეტარიატს მზად არიან შეუერთდნენ მოსკოვი და სამხრეთი, კავკასია და პოლონეთი“ (ტ. 8, გვ. 67).

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ი. ბ. სტალინის მეთაურობით პეტერბურგის ამბების შეტყობისთანავე შეუდგნენ საპროტესტო გაფიცვების მომზადებას. 16 იანვარს კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც მიმართავდა ხალხს: „გესმით ბორკილების მტვრევა? პეტერბურგის ქუჩებში მუშები ბარიკადებს აშენებენ. მეფის სასახლე ტყვიით დახვრიტეს... ეს რევოლუციის დასაწყისია“.

18 იანვარს თბილისში დაიწყო მუშათა საყოველთაო გაფიცვა. რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშების მიერ დაწყებულ ამ გაფიცვას დაუყოვნებლივ შეუერთდნენ ფაბრიკა-ქარხნების, სტამბებისა და ტრამვაის მუშები. გაფიცულთა რაოდენობამ ამ დღეს 4.000-ს მიაღწია. გაფიცვა ყოველდღიურად ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა, იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები და დემონსტრაციები. 23 იანვარს მოწყობილი დიდი დემონსტრაცია, სადაც წითელი დროშები და მარქსის პორტრეტები მიჰქონდათ, პოლიციასთან სისხლიანი შეტაკებით დამთავრდა.

თბილისში დაწყებული საყოველთაო გაფიცვა სწრაფად გავრცელდა საქართველოს სხვა ქალაქებში. მუშათა გაფიცვებმა ფართო ხასიათი მიიღო ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ჭიათურაში, ტყიბულში, სამტრედიაში. გაფიცულ მუშებს შეუერთდნენ მოსამსახურეები და მოსწავლეები, დაიხურა სავაჭროები, რკინიგზის მთელ რიგ ხაზებზე მატარებლების მოძრაობა შეწერდა, აღარ მუშაობდა საქალაქო ტრანსპორტი, შეწყდა გაზეთების გამოცემა.

ეს საყოველთაო გაფიცვა თვის ბოლომდე გაგრძელდა და ყველა წინა გაფიცვისაგან გამოირჩეოდა თავისი მასშტაბითა და ორგანიზებულობით.

კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა თავის პროკლამაციაში „თბილისის ყველა მუშას!“, შეაჯამა რა იანვრის გაფიცვები, განაცხადა: „როგორც კი დეპეშამ მოიტანა ცნობა პეტერბურგის ამბების შესახებ, ყველა დიდ ქალაქში იფეთქა გაფიცვებმა...

ასე იყო ჩვენთანაც თბილისში. ჩვენ მთელ მსოფლიოს დავანახეთ მთელი მუშათა კლასის სოლიდარობა, ეს კი უმთავრესია“.

ვ. ი. ლენინმა თებერვლის დამდეგს თავისი სტატიის „პირველი გაკვეთილების“ გეგმის მონასახში აღნიშნა უკვე როგორც ფაქტი „მოძრაობის გაფართოება სხვა ქალაქებზე. მოსკოვი, სამხრეთი, კავკასია, პოლონეთი“. (ლენინის კრებული, XVI, გვ. 44).

ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოს გლეხობის რევოლუციურ ბრძოლებს რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. მხედველობაში ჰქონდა რა პირველ რიგში საქართველოს გლეხთა მოძრაობა, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „კავკასიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ძალიან ძლიერია“ (ტ. 12, გვ. 237).

მუშათა საყოველთაო გაფიცვების გავლენით დაწყებულმა გლეხთა გამოსვლებმა მძლავრი გაქანება მიიღო ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, გორისა და დუშეთის მაზრებში. გურიაში გლეხთა გამოსვლები მთავრობისათვის იმდენად საშიში გახდა, რომ კავკასიის მმართველ ორგანოებში ამუშავებდნენ წინადადებებს მთელი სოფლების გადასახლების შესახებ. თებერვალსა და მარტში კიდევ უფრო გაფართოვდა და გაძლიერდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, რომელმაც ბევრგან აშკარა პოლიტიკური ხასიათი მიიღო და აჯანყებებად იქცა. მეფის ნაცვლის განკარგულებით გურიაში გაიგზავნა განსაკუთრებულად შეიარაღებული ჯარის დიდძალი ნაწილები, რომლებსაც ნაბრძანები ჰქონდათ დაუნდობლად ჩაეხშოთ აჯანყება.

ვ. ი. ლენინმა დაწვრილებით იცოდა ეს ამბები. პარტიის III ყრილობაზე კავკასიის ამბების შესახებ დაწერილ რეზოლუციაში, ლენინმა ცალკე პუნქტი შეიტანა გურიის შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო: „...თვითმსყრობელური მთავრობა უკვე გზავნის ჯარებსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად დაუნდობელ განადგურებას“ (ტ. 8, გვ. 497).

საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციის მძლავრ გაქანებას ვ. ი. ლენინი იმით ხსნიდა, რომ გლეხთა მოძრაობა დაუკავშირდა მუშათა მოძრაობას. ამის მაგალითად ლენინი სამხრეთისა და ბალტიის მხარესთან ერთად ასახელებდა კავკასიას. მუშებმა შეძლეს შეეერთებინათ „...გლეხები (სამხრეთი, კავკასია, ბალტიისპირა მხარე)“ — აღნიშნავდა ლენინი (ტ. 10, გვ. 476).

გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მსვლელობაში საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის სხვა მხარეებსა და ოლქებში, იქმნებოდნენ გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც ხალხის არჩევითს ორგანოებს, ახალი, რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახებს წარმოადგენდნენ. ისინი განაგებდნენ სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ვ. ი. ლენინმა იცოდა საქართველოში ამ კომიტეტების არსებობა და მათ საბჭოების ერთ-ერთ სახესხვაობად თვლიდა. 1906 წლის თებერვალში დაწერილ რეზოლუციის პროექტში „ტაქტიკური პლატფორმა რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობისათვის“ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ რუსეთის სხვადასხვა მხარეებში წარმოიშვა სხვადასხვა სახის თვითმმართველობის ორგანოები: მუშათა დეპუტატების საბჭოები, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რკინიგზელთა კომიტეტები, ქალაქის რევოლუციური კომიტეტები, ხოლო „...არჩევითი სასოფლო ორგანოები კავკასიასა და ბალტიისპირა მხარეში“ (ტ. 10, გვ. 173).

ვ. ი. ლენინი ამ არჩევითს ორგანოებს მიაკუთვნებდა ისეთ ორგანიზაციათა რიცხვს, „...რომლებიც ფაქტიურად ახალი რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახებს წარმოადგენენ“ (იქვე).

მიმდინარე რევოლუციის განვითარებასა და სწორად წარმართვას ხელს უშლიდა პარტიის ერთიანობისა და ერთიანი ტაქტიკური ხაზის უქონლობა. ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ლენინი პარტიის მორიგი, III ყრილობის მოწვევაში ხედავდა. ვ. ი. ლენინმა ჭეშმარიტად ტიტანური შრომა გასწია ამ ყრილობის მოწვევისათვის. ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით ერთ-ერთმა პირველებმა დაუჭირეს მხარი ლენინის პოზიციას და უდიდესი მუშაობა გასწიეს ყრილობის მოწვევისათვის. ლენინს შემდეგ არაერთხელ აღუნიშნავს, რომ პარტიის III ყრილობის მოწვევა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან ერთად კავკასიის ბოლშევიკთა დიდი დამსახურება იყო.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას, მათს გამოცდილებას რევოლუციისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

პარტიის III ყრილობამ ვ. ი. ლენინის წინადადებით საქართველოს დელეგატის მ. გ. ცხაკაიას ორი მოხსენება მოისმინა და მიიღო ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია, რომელიც, მაღალ შეფასებას აძლევდა რა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის მსვლელობას, ავალებდა „პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ კავკასიაში საქმის მდგომარეობის შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებლად... აგრეთვე კავკასიისათვის დახმარების დროზე გასაწევად მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით“ (სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გვ. 101).

პარტიის III ყრილობის დადგენილებებით შეიარაღებულმა საქართველოს ბოლშევიკებმა კიდევ უფრო გაძლიერეს რევოლუციისადმი ხელმძღვანელობა, ფართოდ გაშალეს III ყრილობის დადგენილებათა პროპაგანდა, გულდასმით სწავლობდნენ ყრილობის დადგენილებებსა და ლენინის შრომებს და უნარიანად იყენებდნენ მათ პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობაში.

რევოლუციის პერიოდში განსაკუთრებით გაფართოვდა ლენინის შრომების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. საქართველოს ბოლშევიკურ გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ დაიბეჭდა ლენინის შრომები: „მესამე ყრილობა“, „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“, „რსდმპ III ყრილობის რეზოლუცია კავკასიაში მომხდარი ამბების შესახებ“. ცალკე ბროშურად ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე გამოიცა ვ. ი. ლენინის სტატია „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“ და ფურცელი „სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა“, ბროშურა „ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ“. დამახასიათებელია, რომ ლენინის ბროშურა „სოფლის ღარიბებს“ გადმოკეთებულ იქნა ქართულად და გამოქვეყნდა სახელწოდებით: „სოფლის გაჭირვებულ გლეხკაცობას“. ბროშურაში შეტანილი იყო მასალები საქართველოში აგრარული ურთიერთობისა და გლეხთა აუტანელი მდგომარეობის შესახებ.

საქართველოში დიდი სიყვარულით და მონდომებით სწავლობდნენ ლენინის სახელგანთქმულ შრომებს „რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „სოციალ-დემოკრატიის ორი

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დღიური

სიმინდის კვადრატულ-ბუდოვანი თესვა

სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ეფექტიან საშუალებას კვადრატულ-ბუდობრივი თესვა წარმოადგენს. საამისოდ დღეისათვის გვაქვს საბჭოთა კონსტრუქციის სატრაქტორო სათესები, რიგთაშორისების დამამუშავებელი საკიდი მანქანები და სიმინდის მოსავლის ასაღები კომბაინები. ამიტომ არის, რომ მექანიზაციის თანამედროვე დონის პირობებში სიმინდი სხვა კულტურებთან შედარებით აღარ არის შრომატევადი კულტურა. ახლა არის შესაძლებლობა სიმინდი დაითესოს კვადრატულ-ბუდობრივი წესით, მოხდეს მისი მექანიზებული დამუშავება ორი მიმართულებით, რაც კოლმეურნეებს მნიშვნელოვნად უმსუბუქებს შრომას.

კვადრატულ-ბუდობრივად თესვის საუკეთესო ჩატარების ძირითადი და გადამწყვეტი პირობაა წინასწარ მომზადებული ნაკვეთის სწორად მონიშვნა 16-18 მეტრი სიგანის მოსახვრული ზოლების გამოყოფით. მონიშვნის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეგატის პირველი გავლისათვის სწორი ხაზისა და მისი გადამკვეთი საკონტროლო ხაზის გატარებას. ეს უკანასკნელი საკონტროლო ხაზის მოსახნავნი ხელსაწყოს მეშვეობით ხორციელდება. საკონტროლო ხაზის მიღების შემდეგ მასზე სწორად უნდა დავაყენოთ ფიქსატორი, რომლის ბუდეში თავსდება საზომი მავთულის ერთ-ერთი უახლოესი სახვრეტი. საზომი მავთულის ყველა შემდგომი დაყენების სისწორისათვის აუცილებელია ამ სახვრეტის დანიშვნა — დახსომება. ეს სახვრეტი ყოველთვის საჭიროა საზომი მავთულის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანისას მოთავსდეს ფიქსატორის ბუდეში.

ზემოაღნიშნულ სამუშაოთა სწორად განხორციელების შემდეგ აუცილებელია წინასწარ გამართული და მომზადებული სათესი აგრეგატის შემოწმება ნორმალურ მუშაობაზე ე. ი. მისი თესვის სისწორეზე.

სათესის შემოწმების შემდეგ დაიკიმება საზომი მავთულის ჯალამბარი და დაიწყება თესვა.

მაგრამ ამ ღონისძიებათა განხორციელება არ არის საკმარისი. აგრეგატზე მომუშავეებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ თესვის პროცესში აუცილებელია პერიოდულად შევამოწმოთ გამოთესვის სისწორე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩათესილ ბუდეთა განლაგება არასწორად მოხდა, მცენარეთა აღმოცენების შემდეგ კულტივაციის ჩატარება არ მოხერხდება, ანდა, თუ მოხერხდა, აღმონაცენთა უმრავლესობა კულტივაციის დროს მოიჭრება, რაც დიდად შეამცირებს მოსავლიანობას. ამიტომ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ საზომი მავთულის სახვრეტების მიმართ ბუდეთა სწორად განლაგებას. თუ შემოწმების შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ჩათესილი ბუდეები საზომი მავთულის სახვრეტების მიმართ გადატანილია წინ, მაშინ საჭიროა კვანძდამჭერი იმავე სიდიდით გადაიწიოს წინ და პირიქით, თუ ჩათესილი ბუდეები რჩება საზომი მავთულის სახვრეტებს უკან, მაშინ კვანძდამჭერი უნდა გადავაადგილოთ იმავე სიდიდით უკან.

საყურადღებოა შემდეგი გარემოება. მაგალითად, თესვის დროს შეიძლება მოხდეს ისეთი შემთხვევაც, როცა ჩათესილი ბუდეები გადაიწევა საზომი მავთულის სახვრეტების მიმართ ან წინ ან უკან, მაგრამ კვანძდამჭერის სათანადო გადაადგილებით ეს გარემოება მაინც გამეორდება, ე. ი. ცდომილება მაინც ვერ გამოსწორდება. ეს ცდომილება აუცილებლად გამოწვეულია საკონტროლო ხაზის არასწორი მონიშვნით. ამიტომ, თუ ისეთი შემთხვევა აღმოჩნდა, ე. ი. კვანძდამჭერის გადაადგილებით ვერ მივაღწევთ კვადრატების მიღებას, მაშინ აუცილებელია საკონტროლო ხაზი ხელმეორედ მოვნიშნოთ, მხოლოდ აგრეგატის უკანასკნელი გავლის კვალის მიმართ და ამის შემდეგ განვაგრძოთ თესვა.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სათესი აგრეგატის ნორმალური მუშაობა, სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სწორად დათესვა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არიან დაყენებული თესვის ტექნიკას აგრეგატზე მომუშავეები. გვახსოვდეს, რომ მანქანის ცალკეული კვანძების სწორი ურთიერთმოქმედებითა და აგრეგატის წევრთა შეთანხმებული მუშაობით მიიღება კვადრატული ნათესი. მექანიზატორებს, რომლებსაც უნდათ მუშაობა ამ აგრეგატზე, კარგად უნდა ჰქონდეთ შესწავლილი სათესი მანქანის კონსტრუქცია, ასევე თესვის სწორად ჩატარების ტექნიკა. კვადრატულ-ბუდობრივად სათეს აგრეგატზე მექანიზატორები ვალდებულნი არიან დიდი ყურადღება მიაქციონ სათესს ექვსივე გამომთესი აპარატის გამოთესვის ერთდროულობასა და ჩათესვის სიღრმის დაცვას.

საქართველოში მასობრივად გაჩაღდა სიმინდის თესვა. ძვირფასია თვითეული დღე, თვითეული საათიც კი. სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ინტერესები გვიკარნახებს დავიცვათ თესვის აგროტექნიკური ვადები, არ დავუშვათ აგროტექნიკის მოთხოვნათა დარღვევა.

ინჟინერი ბ. ვაშაძე.

ლექცია - მოხსენებები საზამთრო საძოვრებზე

თელავი. (საკ. კორ.). თელავის რაიონის კოლმეურნეობათა ცხვრის ფარებმა წელს შირაქში — ივრის ნაპირზე გამოიზამთრეს. აქ ახლა დოლი დასასრულს უახლოვდება. უკვე მიღებული და შენარჩუნებულია 8 ათას სულზე მეტი ბატკანი.

საძოვრებზე „ტარიბანასა“ და „პაპუნიანი“ სოფელ ლალისყურის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ ცხვარი ბინადრობს. მწყემსების ბეჯითი მუშაობის შედეგად ორი ათას სულზე მეტი ბატკანი მთლიანად შენარჩუნებულია. ნამატის უდანაკლისოდ შენარჩუნებაში თავი ისახელეს აგრეთვე ვარდისუბნის, შალაურის, კურდღელაურისა და სხვა კოლმეურნეობათა მეცხვარეებმა.

ამ დღეებში მეცხვარეებს ესტუმრა საქართველოს კპ თელავის რაიკომის მიერ გაგზავნილი ბრიგადა. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ბ. კარდენახშვილმა, რაიონული გაზეთის რედაქტორმა შ. როსტომაშვილმა, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. გოგიძემ და სხვებმა მწყემსებს წაუკითხეს თხუთმეტამდე ლექცია-მოხსენება. მათ დაწვრილებით განუმარტეს მეცხვარეებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება, საუბრები გამართეს ჩვენი ქვეყნის წარმატებების, საერთაშორისო მდგომარეობასა და სხვა საკითხებზე.

კულტურის განყოფილების მუშაკებმა მწყემსებს უჩვენეს კინოსურათები სასოფლო-სამეურნეო თემებზე, აგრეთვე მხატვრული ფილმები „ქეთო და კოტე“, „დავით გურამიშვილი“, „საბჭოთა საქართველო“ და სხვ.

სანატორიუმი ეხმარება კოლმეურნეობას

ბორჯომი. („კომუნისტის“ კორ.). ბორჯომის კურორტთა სამმართველოს პირველი სანატორიუმის კოლექტივი შეუფობას უწევს სოფელ ცეცხლისის კოლმეურნეობას. სანატორიუმმა სოფლის საექიმო პუნქტს გადასცა ქირურგიული იარაღები, სამედიცინო აპარატურა და ავეჯი. მას განზრახული აქვს შეაკეთოს სოფლის საექიმო პუნქტისა და სამშობიარო სახლის შენობები, შეამოწმოს კოლმეურნეთა ჯანმრთელობა, მოაწყოს ლექცია-საუბრები სამედიცინო თემებზე.

ამჟამად სანატორიუმის კლინიკურ ლაბორატორიაში, აგრეთვე პარაფინით მკურნალობის და სპოროცედურო კაბინეტებში კვალიფიკაციას იმაღლებენ სოფლის საექიმო პუნქტისა და სამშობიარო სახლის ექთანები. სანატორიუმის ექიმები რენტგენოსკოპიულ და კლინიკურ მკურნალობას უწევენ კოლმეურნეებს.

მეგობრობის კონცერტი

გასული წლის ბოლოს დაღისტანს ეწვივნენ საქართველოს წარმომადგენლები ორი მოძმე რესპუბლიკის ორ რაიონს შორის — ლუშეთისა და გუნიბის რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრების დაწყების წინადადებით. მზიანი საქართველოს წარმომადგენლებს გუნიბის რაიონის აულებში გულთბილად და სტუმართმოყვარულად შეხვდნენ.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის არტისტების ჩამოსვლამ დაღისტანში, მახაჩკალის, დერბენტის, კასპიისკის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ ქართველ სტუმრებს. განსაკუთრებული აღფრთოვანებითა ჩაიარა საზოლოო კონცერტმა მახაჩკალაში. ეს იყო მეგობრობის კონცერტი.

დიდძალი ხალხი მიიზიდა აფიშამ, რომელიც იუწყებოდა, რომ დაღისტნის ფილარმონიის დარბაზში შედგება ორი ანსამბლის — საქართველოსა და დაღისტნის ანსამბლების კონცერტი.

ეს იყო ჭეშმარიტად ინტერნაციონალური კონცერტი. სიმღერები ყღერდა რუსულ, უკრაინულ, ქართულ, ხუნძურ, ლეკურ, ყუმუხურ და სხვა ენებზე.

კონცერტი გაიხსნა სიმღერისა და ცეკვის დაღისტნის ეროვნული ანსამბლის გამოსვლით. ანსამბლის გუნდმა ყუმუხურ ენაზე შეასრულა სიმღერა „დიდება კომუნისტური პარტიას“ (მუსიკა ნაბი დაგიროვისა, სიტყვები ანვარ აჯიევისა). გულში ჩამწვდომად ყღერდა ლირიკული სიმღერა, შესრულებული თამილა ჰუსეინოვას მიერ. მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ დაღისტნის სახალხო არტისტს ერა ადიბეკოვას, რომელმაც შეასრულა ყუმუხური ხალხური სიმღერა და აზერბაიჯანული სახუმარო. ასევე გულთბილად შეხვდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტს მომღერალ ამინატ იბრაჰიმოვას.

განსაკუთრებული წარმატება ხვდათ შესანიშნავ დაღისტნელ მოცეკვავეებს. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების ჰასან ალიკბეროვისა და გალინა მანაფოვას მიერ შესრულებული ხუნძური ცეკვა გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სისწრაფით და ხუნძური ცეკვის დამახასიათებელი ნიშნების ზუსტი დამუშავებით. მაყურებლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს — მოცეკვავეებს მაჰმედ ვაგაბოვს და კაზინ მანაფოვს, სახალხო არტისტს რაზია მაჰმედოვას და სხვ. მსუბუქად, მოხდენილად შეასრულა ინდური ცეკვა ანსამბლის ახალგაზრდა არტისტმა მაჰმედ ხადულაევმა.

ქართველმა სტუმრებმა მეორე განყოფილებაში თავის მხრივ მაყურებლებს და დაღისტნის ანსამბლის არტისტებს გააცნეს ქართული ხელოვნების მაღალი კულტურა, ხალხური სიმღერების მკაფიო მელოდიური ყღერადობა და შესანიშნავი ხალხური და თანამედროვე ცეკვები.

საქართველოს გუნდმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დირიჟორ ს. გველესიანის ხელმძღვანელობით შეასრულა სიმღერა შრომის გმირებზე. კარგად შეასრულეს საყოლმეურნეო მაირები გუნდის სოლისტებმა მ. ირემაშვილმა და ს. მირცხულავამ. ეს მაირები თემით და მისი გადაწყვეტით ენათესავება ყუმუხურ მაირებს. ისინი ხალხს შეუქმნია და მუსიკაც ხალხურია. ქართული ხალხური მუსიკა მომხიბვლელია თავისი ელფერით. იგი მშვენიერია არა მარტო მელოდიური ყღერადობით, არამედ თავისებური წყობითაც.

ხალხური შემოქმედების მაღალ ნიმუშია მრავალმხიანი გული ჩამწვდომი სიმღერა „ჩაკრული“, რომელიც ოსტატურად შეასრულა გუსდმა. ვის არ მოხიბლავს მშვენიერი, ღრმა ლირიზმით აღსავსე. ხალხური სიმღერები „სულიკო“ და „ციცინათელა“, ორივე ამ სიმღერამ, ისევე როგორც „ჩაკრულმა“, მქუხარე ტაში გამოიწვია დარბაზში. სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა თანამედროვე ქართულმა სიმღერებმა „ტაში, ბიჭო“ და „მწყემსის სიმღერა“.

წარმატებას, რომელიც წილად ხვდა გუნდს, ხელი შეუწყო ანსამბლის შესანიშნავმა ორკესტრმა, რომელიც შედგება ხალხური ინსტრუმენტებისაგან, როგორიც არის ჩონგური, ფანდური, სალამური, დუდუკი და სხვ.

დიდი წარმატება ჰქონდა ანსამბლის ქოროგრაფიული ჯგუფის თვითეულ გამოსვლას. ამ ჯგუფმა მახაჩკალელ მაყურებლებს გააცნო ძველისძველი ლაშაზი ცეკვა „დავლური-ქართული“, ეთნოგრაფიისა და პლასტიკური მომზიდველობის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცეკვა „ძველი თბილისის სურათი“ და სხვ.

გულწრფელი აღტაცება გამოიწვია აჭარულმა სახუმარო ცეკვამ „განდაგან“, ცეკვამ ხანჯლებით და „საკოლმეურნეო ცეკვამ.“

კონცერტის დამთავრების შემდეგ მაყურებლებმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს თავიანთ სტუმრებს. დაღისტნის ავტონომიური სს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა რ. მაჰმედოვამ, დამსახურებულმა არტისტებმა კ. მანაფოვმა, გ. მანაფოვამ და ს. იბრაჰიმოვმა ქართული ანსამბლის სოლისტებს მიართვეს ყვავილების თაიგულები.

მოძმე საქართველოს არტისტებს მადლობა გადაუხადეს დაღისტნის ასსრ კულტურის მინისტრმა იზუმრუდ გუბაანოვამ და დაღისტნის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა კომპოზიტორმა ნაბი დაგიროვმა.

საქართველოს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა კომპოზიტორმა ვ. ცაგარეიშვილმა წარმოთქვა ოოკლე მგრძნობიარე სიტყვა, რომელშიც მადლობა გამოთქვა გულთბილი მიღებისათვის.

კონცერტს ესწრებოდნენ დაღისტნის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ალიევი, დაღისტნის ავტონომიური სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. მეჯიდოვი, მინისტრები, პარტიული ხელმძღვანელები.

დ. ტრუნოვი.

ქ. მახაჩკალა.

• • •

სურათზე: დაღისტნისა და საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების კოლექტივის ერთ ჯგუფში დაღისტნის ასსრ დამსახურებული არტისტი ჰასან ალიკბეროვი (მარცხნიდან მეორე) და ბაიანის დამკვრელი აბბალიკ ხანბაბაევი (მარცხნიდან მეოთხე).

ფოტო პ. დოროფეევისა.

როცა ავტომოგილებს არ უვლიან და მძღოლებს შორის მუშაობას უგულგელყოფენ

ავტოტრანსპორტის პარკი ჩვენს ქვეყანაში მეუნელებლივ ფართოვდება ახალი მარკების ავტომანქანებით. მარტო გასულ 1954 წელს სოფლის მეურნეობის ავტოსატრანსპორტო პარკს შეემატა 50 ათასზე მეტი ახალი ავტომანქანა, ხოლო საკოლმეურნეო გარაჟებს — 60 ათასამდე ავტომანქანა.

ჩვენი სახალხო მეურნეობის, კერძოდ სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის მიღწევისათვის ბრძოლაში ავტოტრანსპორტი ახლა დიდ როლს ასრულებს. მისი ხვედრითი წონა სახალხო ტვირთზიდვაში, საკოლმეურნეო ცხოვრების წინსვლაში თანდათან იზრდება. მაგრამ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ავტოტრანსპორტის მუშაკები მათს განკარგულებაში სამშობლოს მიერ გადაცემულ ტექნიკას სრული სიმძლავრით, რაციონალურად, მიზანშეწონილად ვერ იყენებენ. ამის ადასტურებს მოძრაობის დროს ავტომანქანების დაზიანების შემთხვევები, შეფერხებანი რეისების დროს, რასაც ზოგჯერ საგრძნობი მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლიც კი მოსდევს.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: ამას წინათ განახლების ჩაის ფაბრიკის (ჩოხატაურის რაიონი) ავტომძღოლმა მოქ. პაიჭაძემ ავტომანქანა გნ-43-06 უსაგზაროდ გამოიყვანა გარაჟიდან და წაიყვანა მახარაძისაკენ. გზაში მან მანქანა დაიჯახა ძროხას, არც შეჩერებულა ამ „უმნიშვნელო“ შემთხვევის გამო, განაგრძო სვლა და... მანქანა თხრილში გადაჩეხა. მსგავსი შემთხვევა იყო ადიგენის რაიონში. ადიგენის მტსის გარაჟიდან მსუბუქი მანქანა გპ-28-44 გამოიყვანა მტს-ის აგრონომმა მოქ. დგებუაძემ, რომელსაც მართვის უფლება არ ჰქონდა, ჩაისვა მანქანაში ერთი მგზავრი და გაუდგა გზას სოფელ უდესაკენ. დგებუაძემ მანქანა დიდ ხრამში გადააგდო, თვითონაც დაშავდა და თანამგზავრიც მძიმედ დაშავა. სოფელ ზემო ნიქოზის (გორის რაიონი) კოლმეურნეობის ავტომანქანით, რომელიც ტექნიკურად გაუმართავი იყო, მძღოლმა ა. ლაზარიაშვილმა მეორე სოფელში წაიყვანა ქორწილში დაპატიჟებული 18 კაცი. გზაში მანქანა გადაბრუნდა, მგზავრები დაშავდნენ და დასახიჩრდნენ.

ეს მაგალითები მოწმობენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ ავტოსატრანსპორტო მეურნეობებში ავტოტრანსპორტის ნაყოფიერად გამოყენების საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის, ნაკლებად იგრძნობა მზრუნველობა ავტომანქანების ტექნიკური მზადყოფნის უზრუნველყოფისათვის, ავტომძღოლთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და მათი მუშაობის რეჟიმის ზუსტად დაცვისათვის.

შეიძლება მრავალი მაგალითის დასახელება იმის დასადასტურებლად, რომ ზოგ ავტოსატრანსპორტო მეურნეობაში ცუდად უვლიან მათს განკარგულებაში არსებულ ტექნიკას, ურიგდებიან შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს, ხოლო ცნობილია, რომ უდისციპლინობა ყველგან, განსაკუთრებით ავტოტრანსპორტზე ავარიის, მანქანის დაზიანების მთავარი მიზეზია.

ზოგან ავტომძღოლები თავის ანაბარად არიან მიტოვებულნი. მათ შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას არ ეწევიან არც ადგილობრივი პროფკავშირული და არც პარტიული ორგანიზაციები. ავტომძღოლებისათვის დაწესებული არ არის მტკიცე სამუშაო გრაფიკი. ზოგჯერ ავტომძღოლს მთელი დღეღამის განმავლობაში ამუშავებენ, ან სულ უმეთვალყურეოდ ტოვებენ, აძლევენ იმის საშუალებას, რომ სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალება პირადი გამორჩენისათვის გამოიყენოს.

გასულ წელს, როგორც ცნობილია, მთავრობამ მიიღო დადგენილება ავტოტრანსპორტის გამოყენების საქმის მოსაწესრიგებლად, ავტომანქანების ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის დასაწესებლად.

15 აპრილიდან სახელმწიფო ავტოინსპექცია შეუდგება გარაჟებსა და ავტოსატრანსპორტო მეურნეობებში ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებას, იმის გამორკვევას, თუ როგორ ასრულებენ მთავრობის „ბარშანდელ დადგენილებას ავტოსატრანსპორტო მეურნეობათა, საწარმოდაწესებულებათა ხელმძღვანელები. ეს შემოწმება 15 ივნისამდე გასტანს.

შემოწმების მთავარი მიზანია აღმოვიჩხვრათ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მხრივ ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის საკითხებისადმი ზერელე დამოკიდებულება, ავტომძღოლებს შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობის შეუფასებლობა.

ა. ჯავაშვილი,

საქართველოს ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე, ინჟინერი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„კომუნისტის“ 3 აპრილის ნომერში დაიბეჭდა წერილი „ბარაქა მათს მარჯვენას!“ („წერილები ნოიალის ველიდან“). მასში მოცემული იყო კრიტიკული შენიშვნები ცეკავშირის მისამართით. ამასთან დაკავშირებით ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ნარსიამ რედაქციას აცნობა:

წერილში აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ნოიალის ველზე მოზამთრე მეცხვარეების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ცეკავშირის სპეციალურ საცალო ვაჭრობას ყიზლარში ა. წ. 4 და 5 აპრილს გაეგზავნა 15 დასახელების სხვადასხვა პოლიტიკური, მხატვრული და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა 2.300 ეგზემპლარის რაოდენობით, 60 კომპლექტი რადიობატარია რადიომიმღებისათვის, 50 კომპლექტი რადიოანტენები, 100 ცალი ჯიბის ფარნები და 500 ცალი ქარგამძლე ფარნები.

ცეკავშირის ყიზლარის სპეციალიზებულ ვაჭრობის დირექტორს ამხ. სანაძეს წინადადება მიეცა დამატებით შეისწავლოს მეცხოველეობა მოთხოვნილება საჭირო საქონელზე და უახლოეს დღეებში წარმოუდგინოს სათანადო განაცხადი ცეკავშირის გამგეობას.

ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, რომლებიც არალეგალურად შემოდიოდა და ვრცელდებოდა პარტიულ წრეებში. საქართველოს ბოლშევიკებმა აღებდნენ პარტიის ცენტრალურ გაზეთ „ვპერიოდს“, რომელშიც სისტემატურად იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო სტატიები. 1905 წლის 8 მარტს თბილისიდან ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო: „გვაქვს „ვპერიოდის“ ყველა №, № 8-ის ჩათვლით. სტატია „უნდა მოვაწყოთ თუ არა რევოლუცია?“ ფურორს ახდენს, ხოლო № 4-ში მოთავსებული „რევოლუციური დღეები“ სურთ გამოსცენ ქართულ ენაზე“ (ეურნ. „პროლეტარსკაია რევოლუცია“ X 5 (40), გვ. 49).

ლენინის შრომები, სტატიები, მის მიერ დაწერილი პროკლამაციები და წერილები განუმარტავდნენ საქართველოს მუშებსა და გლეხებს, ყველა მშრომელს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებსა და საშუალებებს, მოუწოდებდნენ მათ პარტიის გარშემო უფრო მჭიდროდ დარაზმვისათვის.

პარტიის III ყრილობის შემდეგ საქართველოს მენშევიკები განაგრძობდნენ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ. ისინი ღალატობდნენ რევოლუციის საქმეს, უარყოფდნენ შეიარაღებულ აჯანყებას.

ვ. ი. ლენინმა თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ მოგვცა ქართველი მენშევიკების ოპორტუნისტულ შეხედულებათა გაშლილი კრიტიკა. იმის გამო, რომ მენშევიკები მთავარ იმედებს პარლამენტზე ამყარებდნენ, ლენინმა ქართველ მენშევიკთა ტაქტიკას მიმდინარე რევოლუციაში, გამგმირავი ირონიით უწოდა „პარლამენტური კრეტინიზმი“ და ყორდანიას სტატია „საერო კრება და ჩვენი ტაქტიკა“ დაახასიათა, როგორც გაუგონარი „აბდაუბდა“ (ტ. 9, გვ. 65).

კავკასიელმა მენშევიკებმა თავიანთ საოლქო კონფერენციაზე (1905 წ. 14 აპრილს) მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც გაილაშქრეს დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისა და მასში მონაწილეობის წინააღმდეგ. რეზოლუცია პირდაპირ აცხადებდა, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია წავიდეს და არც უნდა წავიდეს ბურჟუაზიაზე უფრო შორს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაშიო. ვ. ი. ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა კავკასიელ მენშევიკთა ეს რეზოლუცია და გაანაცხადა, რომ მასში გამოთქმულია „რევოლუციის მიმართ გამცემლობის ტაქტიკის მთელი რაობა, ბურჟუაზიული კლასების უბადრუკ მაჩანჩალად პროლეტარიატის გადაქცევის ტაქტიკის მთელი რაობა“, რომ „ეს არის ბონარქისტული ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალი“ (ტ. 9, გვ. 103).

ვ. ი. ლენინის ამ შრომამ დიდი სამსახური გაუწია საქართველოს ბოლშევიკებს მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლენინი რამდენიმე ადგილას ეხება თბილისში ქალაქის გამგეობის შეხობაში მუშათა მასობრივად დახვრეტის ფაქტს. 29 აგვისტოს (11 სექტემბერს) საღამოს 8 საათზე თბილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში 2.000-ზე მეტი კაცი შეიკრიბა და მოითხოვეს მუშათა საჭირბოროტო საკითხების განხილვა. გამგეობის წევრები დაფრთხნენ და დარბაზი დატოვეს. რამდენიმე წუთის შემდეგ კაზაკები და პოლიციელები გარსშემოერტყნენ დარბაზს, შეიჭრნენ შიგ, ჩაყენეს ყველა გასასვლელი, ჩააკრეს სინათლე და დაიწყეს უიარაღო ხალხის ჟლეტა. არასრული ცნობებით, მოკლულ იქნა 60-ზე მეტი და დაიჭრა 300-მდე კაცი. ამან მთელი ქალაქი შეაშფოთა. თბილისის ბოლშევიკურმა კომიტეტმა იმავე ღამეს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე დაბეჭდა და გაავრცელა პროკლამაცია: „სისხლი იღვრება, ემზადეთ აჯანყებისათვის!“. პროკლამაცია, აღწერდა რა ხოცვა-ჟლეტის სანინელ სურათს, განმარტავდა, რომ თვითმპყრობელობისაგან არ შეიძლება მოველოდეთ სხვა რამეს, თუ არა ტყვიებს და მათრახს და რომ ამიტომ ერთადერთი ხსნა აჯანყებაა.

29 აგვისტოს ამბავი ელვისებური სისწრაფით მოედო მთელ ქვეყანას. პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პროლეტარმა“ ფართო ინფორმაცია მოათავსა ამ ფაქტის შესახებ და გადაბეჭდა თბილისის კომიტეტის დასაწყებული პროკლამაცია. ყველგან გაისმა მძლავრი საპროტესტო ხმები, რამაც ახალი შეშფოთება შეიტანა მმართველ წრეებში.

იმ პერიოდში რევოლუციური სტუდენტობა მოსკოვის უნივერსიტეტში სისტემატურად მართავდა კრებებს. ერთ-ერთ კრებაზე მიღებული რეზოლუცია სამარცხვინო ზოძზე აკრავდა სახელმწიფო სათათბიროს და მოუწოდებდა რესპუბლიკათაგან სამხრეთელ-ველად, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისაკენ. სწორედ ამას დაემთხვა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორად ლიბერალი ტრუბეცკოის არჩევა. მოსკოვის პოლიციის ხელმძღვანელებს, რომლებმაც იცოდნენ, თუ რა მოჰყვა 29 აგვისტოს დახვრეტას, შეეშინდათ მსგავსი ამბების გამეორებისა და ყველაფერი იღონეს, რათა უნივერსიტეტი დახურულიყო. ვ. ი. ლენინი ამასთან დაკავშირებით წერდა: „პოლიციის მუქარის ზეგავლენით უნივერსიტეტი დახურეს: როგორც თვითონ ამბობენ მათ თითქოს შეეშინდათ უნივერსიტეტის კედლებში თბილისის ხოცვა-ჟლეტის განმეორებისა“ (ტ. 9, გვ. 415).

ჯერ კიდევ იანვარში მოწყობილმა საყოველთაო გაფიცვებმა და შემდეგ მუშათა და გლეხთა შეიარაღებულმა გამოსვლებმა საგონებელში ჩააგდო თვითმპყრობელობის ადგილობრივი მმართველები. გაძლიერდა რეპრესიები. ჯარის ნაწილებმა დაიწყეს ხალხის წინააღმდეგ იარაღის გამოყენება. ეს უკვე მასობრივი სისხლიანი რეპრესიების დასაწყისი იყო. საქართველოს ბოლშევიკებმა ამის პასუხად დაიწყეს წითელი რაზმების, მებრძოლი ჯგუფების შექმნა და ჯარისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, როგორც ეს რუსეთის სხვა ქალაქებში ხდებოდა.

ვ. ი. ლენინმა მაშინვე შენიშნა ეს ფაქტი და ჯარისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა მიმდინარე რევოლუციის მნიშვნელოვან მოვლენად, ბრძოლის ახალ მომენტად მიიჩნია. ლენინი წერდა: „დაიწყო ხალხის ნამდვილი **ქუჩის ბრძოლები** ჯართან, ბრძოლები ბარიკადებზე. კავკასიამ, ლოძმა, ოდესამ, ლიბავამ სულ უკანასკნელ დროს პროლეტარული გმირობისა და ხალხის ენთუზიაზმის ნიმუშები გვიჩვენეს“ (ტ. 8, გვ. 666).

შემოდგომიდან საქართველოში გაძლიერდა შეიარაღებული ხალხის მოქმედება ჯარის წინააღმდეგ. პარტიულმა ორგანიზაციამ კაზაკების მიერ 29 აგვისტოს უიარაღო მუშათა დახვრეტის პასუხად 25 სექტემბერს (8 ოქტომბერს) მოაწყო რევოლუციონერთა ერთდროული თავდასხმები კაზაკთა ნაწილებზე. საღამოს 8 საათზე თბილისის რამდენიმე რაიონში: ორთაჭალაში, ბოროსენა და ერმოლოვის ქუჩებზე კაზაკთა აყაზარმებში გადასროლილ იქნა ყუმბარები, რის შედეგადაც მოკლულ იქნა 1 და დაიჭრა 20 კაზაკი. ამ ერთდროულმა თავდასხმებმა აფორიაქა ხელისუფლება და საშინელი პანიკა გამოიწვია კაზაკთა და ჯარისკაცთა ნაწილებში. ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელ ქვეყანაში. მრავალი ცნობა დაიბეჭდა საზღვარგარეთის პრესაში.

ამ თავდასხმებიდან აღსანიშნავია ერმოლოვის ქუჩაზე, მეფის ნაცვლის სასახლის გვერდით ყუმბარების გასროლა, რითაც მოკლულ იქნა 1 და მძიმედ დაიჭრა 11 კაზაკი.

მთავრობის ოფიციოზში გაზეთ „კავკაზში“ ამ ამბის შესახებ დაბეჭდილ ცნობაში ნათქვამი იყო, „ბოროტმოქმედი დაჭრილი უნდა იყოსო“. ნამდვილად ამ ყუმბარის მსროლელი დაჭრილი არ ყოფილა. ეს გაბედული აქტი არსენ ჯორჯიაშვილის მონაწილეობით შეასრულა თბილისელმა მუშა-რევოლუციონერმა მიხეილ ანდრიასძე ხუტიაშვილმა, რომელიც დღესაც ცოცხალია. იგი ახლა 76 წლისაა და დიდი კმაყოფილებით იგონებს აღნიშნულ ფაქტს.

ვ. ი. ლენინი ამ დროს ჟენევაში იმყოფებოდა, მაგრამ მან მეორე დღესვე გაიგო თბილისში ყუმბარების გასროლის ამბავი და დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ამ ფაქტს. ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში „სისხლსმღვრელი დღეები მოსკოვში“, ეხებოდა რა თბილისის მუშათა ბრძოლებს, აღნიშნავდა, რომ მათ კარგად აქვთ მოწყობილი ბრძოლა, იგი მაღალ საფეხურზეა, რომ თბილისის მუშებმა მოაწყეს „სახალხო იარაღის „ახალ“ სახეობათა — ყუმბარების... ფართოდ გამოყენება“ (ტ. 9, გვ. 417).

ვ. ი. ლენინმა კაზაკთა ნაწილებზე თავდასხმა შეაფასა როგორც მეფის ხელისუფლების რეპრესიის საპასუხოდ მოწყობილი რევოლუციური „რეპრესალია“. უცხოეთის გაზეთებიდან ამონაწერთა ერთ-ერთ რეფერატში ლენინს ჩაწერილი აქვს: „შეშფოთება, რაც გამოიწვია თბილისში 8 ოქტომბერს, საღამოს, ერთსა და იმავე დროს 9 ყუმბარის აფეთქებამ, მხოლოდ ღამის 11 საათისათვის დაცხრა. მძიმედ დაჭრილი 20 კაზაკი საავადმყოფოშია მოთავსებული, როგორც ამბობენ, მოკლულია ს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ცნობა

ბერლინი, 13 აპრილი. (საკდესი). აღნ-ის საგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უშიშროების სტატს-სამდივნოს ორგანოებმა ამ უკანასკნელ ხანს მოსახლეობის ფართო წრეების დახმარებით გააუნქიერეს მრავალი ჯაშუშურ-ტერორისტული ჯგუფი, რომლებიც დანაშაულებრივ ანტიხალხურ საქმიანობას ეწეოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. დაპატიმრებულია 521 აგენტი ამერიკისა და ინგლისის სადაზვერვო ორგანოებისა, გელენის ჯაშუშური ორგანიზაციისა და აღნიშნულ დაზვერვათა დასავლეთ ბერლინის ისეთ განყოფილებებისა, როგორიც არის „არაადამიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფი“ (კ.გ.უ.), „თავისუფალ იურისტთა საგამომძიებლო კომიტეტი“, „რიას“-ი, დასავლეთ ბერლინის პარტიათა აღმოსავლეთის ბიუროები.

აგენტების დაპატიმრების დროს კონფისკაციულია ამერიკული წარმოშობის ცხრამეტი რადიოსადგური, მათი კოდები და შიფრები, ცეცხლსასროლი იარაღი და სამარი მასალა, შხამები და ცეცხლის წასაკიდებელი შემადგენლობანი, სპეციალური ფოტოაპარატები, რუკები, ყალბი პასპორტები, ყალბი სასურსათო ბარათები, ფულის დიდი თანხები გერმანიის სამინისო ბანკისა და სხვა ქვეყნების ვალუტით. აღმოჩენილი ან მიღებულია დიდმნიშვნელოვანი საიდუმლო დოკუმენტები, მითითებანი და დირექტივები აგენტების დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში.

როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, ამერიკელმა და ინგლისელმა იმპერიალისტებმა დასავლეთ გერმანიაში, და განსაკუთრებით დასავლეთ ბერლინში, ჯაშუშურ-დივერსიულ ორგანიზაციათა ფართოდ განშტოებული ქსელი შექმნეს. ისინი დივერსანტებსა და კაცისმკვლელებს გზავნიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მტრულად განწყობილი და მერყეული ელემენტებისაგან ისინი აგენტებსა და მავნებლებს ავროვებენ. ყოველი საშუალებით ცდილობენ ძირი გამოუთხარონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიულ წყობილებას.

ჯაშუშური ცენტრები ცდილობდნენ უკანასკნელ თვეების განმავლობაში მოეწყოთ საბოტაჟი, დივერსიები და სხვა ძირგამმთხრელი აქტები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის დიდმნიშვნელოვან ობიექტებზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია ცნობაში, მოითხოვს დაუყოვნებლივ დაიშალოს ყველა ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაცია დასავლეთ ბერლინში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრში მდებარეობს.

პარიზის შეთანხმებების მოწინააღმდეგეთა სრულიად ბერლინის შეხვედრის მოსამზადებელი კომიტეტის მოწოდება

ბერლინი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც აღნ-ის საგენტო იუწყება, პარიზის შეთანხმებების მოწინააღმდეგეთა სრულიად ბერლინის შეხვედრის მოსამზადებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ბერლინის მოსახლეობას.

პარიზის შეთანხმებები, ნათქვამია მოწოდებაში, მიზნად ისახავენ გერმანიის მილიტარიზმის ძალაუფლების აღდგენას. ისინი ემსახურებიან ომის მომზადებას და ხელს უშლიან გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას. პარიზის შეთანხმებები ემუქრებიან მთელი გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და ამწვავებენ მდგომარეობას ევროპაში.

მოწოდებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პარიზის შეთანხმებათა განხორციელება სერიოზულ საფრთხეს უქმნის დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას, დასავლეთ ბერლინისა, რომელსაც ბონი და დასავლეთის სახელმწიფოები აქცევენ სამხედრო პლაცდარმად და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული პროვაკაციების ცენტრად. კომიტეტი ამხილებს იმპერიალისტური პროპაგანდის მტაცებლურ, თითქოს პარიზის შეთანხმებანი არ ეხებიან მდგომარეობას დასავლეთ ბერლინში.

დასასრულ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა მოქმედების ერთიანობა პარიზის სამხედრო შეთანხმებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. მოწოდება შეიცავს მიმართვას სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და დასავლეთ ბერლინის პროფკავშირებისადმი — მხარი დაუჭირონ მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებისათვის პარიზის შეთანხმებების მოწინააღმდეგეთა სრულიად ბერლინის შეხვედრას და მონაწილეობა მიიღონ მასში.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვიეტნამის სახალხო არმიასა და საფრანგეთის კავშირის შეიარაღებულ ძალებს შორის

პეკინი, 12 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს ხანოელი კორესპონდენტი, „მოწმებს რა ვიეტნამის საინფორმაციო საგენტოს ცნობას, იუწყება, რომ გუშინ ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება ხაიფონის ზონაში (ჩრდილოეთი ვიეტნამში საფრანგეთის ჯარების განლაგების დროებითი ზონა. — **რედ.**) გადაეცეს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას და კუანგ ნგაი-ბინ დინის რაიონში (სამხრეთ ვიეტნამში ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილთა განლაგების დროებითი ზონა. — **რედ.**) — საფრანგეთს. შეთანხმებას ხელი მოაწერეს ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ვან ტიენ დუნგმა და საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა დე ბრეისნიმმა.

საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიას შორის ძლიერდება ეკონომიური წინააღმდეგობანი

ლონდონი, 13 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთ „მანჩესტერ გარდიანს“ ლონდონი კორესპონდენტი იუწყება, საარში გერმანიის მონოპოლიების ძლიერების აღდგენის გეგმები, რომლებსაც დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები ამზადებენ, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საფრანგეთში. კორესპონდენტი აღნიშნავს, კერძოდ, რომ საფრანგეთის მთავრობა ისწრაფვის თავიდან აიცილოს ის, რომ საარის ქალაქ ფეკლინგენს „რეხლინგვერკეს“ უდიდესი მეტალურგიული ქარხნები დაუბრუნონ მათს ყოფილ მფლობელებს — რეხლინგის ოჯახს, რომლის წევრებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ჰიტლერელებთან და მსჯავრდადებული იყვნენ როგორც სამხედრო დამნაშავენი. ფრანგებს მიაჩნიათ, წერს კორესპონდენტი, რომ რეხლინგის ოჯახი „ყოველ შემთხვევაში იმდენადვე საშიშია, როგორც კრუპების ოჯახი“, და რომ მისი დაბრუნება ფეკლინგენში საფრთხეს შეუქმნიდა ეგრეთწოდებულ „საარის სტატუტს“, ე. ი. საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის შეთანხმებას საარის საკითხზე.

როგორც კორესპონდენტი იუწყება, „რეხლინგვერკეს“ ქარხნების ბედის შესახებ დავა იმან გამოიწვია, რომ ადენაუერი და საფრანგეთის მთავრობა სხვადასხვაგვარად განმარტავენ წინათ მიღწეულ შეთანხმებას ამ საკითხზე.

პარიზი, 13 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის პრესა შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთი გერმანია იპყრობს გასაღების ბაზრებს საფრანგეთის სამფლობელოებში, ჩრდილოეთ აფრიკაში. ჟურნალ „იუნინ ნუველში“ (ფრანგ მეწარმეთა ორგანოში) გამოქვეყნებულია მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ დასავლეთი გერმანია სულ უფრო მტაცებელ ეკონომიურ პოზიციებს იპყრობს მაროკოში. ჟურნალი შეშფოთებით აღნიშნავს, რომ 1949-დან 1954 წლამდე დასავლეთმა გერმანიამ მაროკოს იმპორტში თავისი წილის მიხედვით მეცამეტე ადგილიდან მესამე ადგილზე წოდწია. ჟურნალის სიტყვით დასავლეთ გერმანიას მაროკოში შეაქვს ავტომანქანები, საფეიქრო ნაწარმი და ქიმიკალიები და ძირს უთხრის საფრანგეთის ვაჭრობას ამ საქონლით.

ინდოეთის თვითმფრინავის ავარიის გამო

დელი, 13 აპრილი. (საკდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, პრემიერ-მინისტრმა ნერუმ დიდი თანაგრძნობა და სამძიმარი განუცხადა ჩინეთის მთავრობას და ყველა იმათ ნათესავებს, ვინც დაზარალდა სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე 11 აპრილის საავიაციო კატასტროფის დროს. (როგორც ვიუწყებოდით, კატასტროფა განიცადა ჰონკონგიდან ბანდუნელმა ინდოეთის საავიაციო კომპანიამ „ეირ ინდიამ“ თვითმფრინავმა, რომელშიც იმყოფებოდნენ ეკიპაჟის 7 წევრი და 11 მგზავრი — მეტწილად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებიც მიდიოდნენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე).

„ამ კატასტროფას, — ნათქვამია ნერუს წერილში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისადმი, — ახასიათებს ზოგიერთი მეტად უჩვეულო თავისებურება. ათი წუთით ადრე, სანამ თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდნილიყო, ჩვენ მისგან მივიღეთ ჩვეულებრივი ცნობა. როგორც ჩანს, მალე ამის შემდეგ რაღაც უეცრად მოხდა. ყოველივე ეს გულდასმით უნდა იქნას გამოძიებული“.

ნერუმ მწუხარება გამოთქვა, რომ „დაღუპულთა შორის არიან ჩინეთის დელეგაციის წევრები, რომლებსაც ჩვენ იმედი გვქონდა შევხვდებოდით ბანდუნგში. სამწუხაროა აგრეთვე, რომ აღარ არის ინდოეთის ერთ-ერთი საუკეთესო პოლიტიკოსი“.

სამძიმრის წერილში ჯოუ ენ-ლაისადმი ინდოეთის კავშირგაბმულობის მინისტრმა ჯაგჯივან რამმა დიდი მწუხარება გამოთქვა კატასტროფის გამო. მან თქვა, რომ ყოველ ღონეს ხმაროობენ, რათა იპოვნონ და გადაარჩინონ ცოცხლად დარჩენილნი.

პრესისათვის განცხადებაში, რომელიც 12 აპრილს საღამოს გამოქვეყნდა დელში, ინდოეთის მთავრობა იუწყება, რომ მოეწყობა კატასტროფის მიზეზების ყოველმხრივი გამოძიება.

უ ნუს და ფამ ვან დონგის ერთობლივი განცხადება

ლონდონი, 13 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს რანგუნელი კორესპონდენტი იუწყება, ბირმის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ფამ ვან დონგმა დამთავრეს რანგუნში მოლაპარაკება ინდოჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ უ ნუმ და ფამ ვან დონგმა მხარი დაუჭირეს ქენევის შეთანხმებებს და აღნიშნეს, რომ ეს შეთანხმებანი ზუსტად უნდა სრულდებოდეს.

უ ნუმ და ფამ ვან დონგმა განაცხადეს, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიება, რათა განხორციელდეს მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშვიდობას და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის მეზობლურ ურთიერთობას. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ უ ნუ და ფამ ვან დონგი დაადგენენ ერთსულოვან აზრს, რომ მეგობრული ურთიერთობა ბირმასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის უნდა მტკიცდებოდეს ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

ეჭვის განცხადება

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო ფორტ-ვილიამიდან (კანადა) იუწყება, ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ეტლიმ, რომელიც მოგზაურობს კანადაში, მიტინგზე განაცხადა, რომ იგი მოუწოდებს ქვეყნებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ უცვნიათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, იცნონ სახალხო ჩინეთი. მან განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას უნდა დაუბრუნონ მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომელიც ამჟამად ჩანკაიშელებს უკავიათ.

უცხოეთის ჟურნალების გამოხმაურება აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის წიგნებზე

1953 წელს ნორდჰოფის ცნობილმა ამერიკულმა გამომცემლობამ ჰოლანდიაში ინგლისურ ენაზე გამოუშვა აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის წიგნები „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ და „სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი“, რომლებსაც სხვადასხვა დროს სტალინური პრემია მიენიჭათ.

აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ორივე დასახელებული წიგნი სსრ კავშირის მეცნიერული საზოგადოებრიობის მიერ აღიარებულია საბჭოთა მათემატიკური სკოლის დიდმნიშვნელოვან წარმატებად. ინგლისურ ენაზე გამოსვლის შემდეგ მათ ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს უცხოეთის მეცნიერთა შორისაც.

დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო ჟურნალებში დაიბეჭდა რეცენზიები, რომლებიც უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევენ აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ამ წიგნებს.

ამერიკულ ჟურნალში „გამოყენებითი მექანიკის მიმოხილვა“ („Applied Mechanics Reviews“) მოთავსებული რეცენზია, რომელიც მიძღვნილია აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დრეკადობის თეორიის წიგნისადმი, შემდეგი საგულისხმო სიტყვებით მთავრდება:

„თქმა არ უნდა, რომ ნაშრომის შინაარსი და სტილი ბრწყინვალეა... ეჭვი არ არის, რომ მეორე ასეთი მნიშვნელობისა და ესოდენ ფართო გაქანების წიგნის შექმნას კიდევ ერთი თაობა მაინც დასჭირდება“.

ინგლისის ფართოდ ცნობილმა ჟურნალმა „ბუნებამ“ („Nature“) გამოაქვეყნა რეცენზია აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ორივე დასახელებული წიგნის ინგლისურ თარგმანებზე. რეცენზენტი უმთავრესად მიმოიხილავს აკადემიკოს მუსხელიშვილის დრეკადობის თეორიის წიგნს, რომელსაც იგი ბრწყინვალე შეფასებას აძლევს.

მეორე ამერიკული ორგანო — „გამოყენებითი მექანიკის ჟურნალი“ („Journal of Applied Mechanics). აღნიშნავს რა იმას, რომ აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დრეკადობის თეორიის წიგნში სათანადო მათემატიკური პრინციპები და მეთოდები სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული, წერს, რომ „ეს მეთოდები უაღრესად განვითარეს საბჭოთა მათემატიკოსებმა, განსაკუთრებით კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის მათემატიკური ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა“. აკადემიკოს მუსხელიშვილის ამ წიგნით სარგებლობას რეცენზენტი სიამოვნებით ურჩევს მოცემული დარგის ყოველ მკვლევარს და გამოთქვამს რწმენას, რომ „ეს წიგნი ჯეროვან ადგილს დაიპყრობს შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში, როგორც სახელმძღვანელო“.

აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ხსენებული წიგნების ინგლისური გამოცემები ფართო გამოხმაურებას პოულობს საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, გერმანიის სამეცნიერო ჟურნალ „მათემატიკის ცენტრალური ფურცლის“ („Zentralblatt für Mathematik“) და შვეიცარიის სამეცნიერო ჟურნალ „მათემატიკის საერთაშორისო უწყებების“ („Nouvelles mathematiques internationalles“) ახლახან გამოსულ ნომრებში დაბეჭდილია რეცენზიები, რომლებიც ასევე მაღალ შეფასებას აძლევენ აკადემიკოს მუსხელიშვილის ამ წიგნებს და მიესალმებიან მათ გამოსვლას ინგლისურ ენაზე.

„ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები“ VIII ტომი

გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები“ VIII ტომი, რომელშიც გამოქვეყნებულია:

პ. გუგუშვილის — ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების შესახებ (რუსულად); ამჟრული ხელოსნობის დაშლა ამიერკავკასიაში.

ა. ნუცუბიძის — რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეორე ყრილობა და ბოლშევიზმის აგრარული პროგრამა.

ბ. ხასაიას — მექანიზაციის როლი სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარებაში.

„ეკონომიკის ინსტიტუტის შრომებში“ გამოქვეყნებულია აგრეთვე **შ. მარგველაშვილის, ლ. ჩიქავას, ე. კანდელაკის, ხ. ხოხელიას, ა. კაკაბაძის, ქ. დადიანის, ნ. დგებუაძის, ხ. ბერაძის, დ. ცისკარიშვილის, ნ. ქოიავას, მ. ბუჯიაშვილის, გ. ნატროშვილის, პ. ქემოკლიძისა** და **მ. კახეთელიძის** ნაშრომები.

შრომებს დართული აქვს **საქართველოს სსრ 1953 წელს გამოქვეყნებული ეკონომიური გამოკვლევების ბიბლიოგრაფია** და **ქრონიკა** — ეკონომიკის ინსტიტუტში.

„ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების“ VIII ტომი შეიცავს 118 გვერდს, ფასი — 18 მანეთი და 20 კაპ.

ი. ნონეშვილის ლექსების წიგნის — «ყაზახეთის ველებზე» კითხვა-განხილვა

ამას წინათ მწერალთა კავშირის პოეტების სექციის ღია სხდომაზე შედგა ი. ნონეშვილის ლექსების წიგნის „ყაზახეთის ველებზე“ საჯარო კითხვა-განხილვა.

ი. ნონეშვილმა დამსწრეებს გაუზიარა ყაზახეთში ყმარი და ნასვენ მიწებზე ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი. შემდეგ წაიკითხა 19 ლექსი.

ლექსების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა გ. ტაბიძემ, ს. ჭილაიამ, ს. ეულმა, მიხ. მრეველიშვილმა, ა. გომიაშვილმა, გ. შატბერაშვილმა, ხ. ბერულავამ, კ. ბოსტოხიძემ, ა. თევზაძემ, მ. ლებანიძემ, ა. სულაკაურმა, გ. ხუხაშვილმა და დ. სტურუამ.

სიტყვებით გამოსულმა მწერლებმა აღნიშნეს, რომ ი. ნონეშვილის ახალი ლექსების წიგნი საგულ'ხმო მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. ლექსებში იგრძნობა პოეტის მაღალი ოსტატობა.

კამათში გამოსულმა მწერლებმა ავტორს მისცეს საქმიანი კრიტიკული შენიშვნები.

სპორტის ამბები

სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს კალათბურთის მატჩი

13 აპრილს რკინიგზელთა ცენტრალურ კულტურის სახლში გაიმართა მეხუთე პარტია მატჩისა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებაზე ჭადრაკში. თეთრებით თამაშობდა გროსმაისტერი სმისლოვი.

27-ე სვლაზე გროსმაისტერები ყაიმზე შეთანხმდნენ. მატჩის ანგარიშია 2½ : 2½.

(საკდესი).

„ბ“ კლასის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის წინ

მალე დაიწყება „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა. გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შეცვლილია პირველობის გათამაშების დებულება.

ჩემპიონატში მონაწილე სპორტსმენთა კოლექტივები გაყოფილია ორ ზონად. თვითეულ ზონაში ერთმანეთს პირველობას შეეცილება 16 გუნდი. გათამაშება მოეწყობა წრიული სისტემით ორ წრედ. ზონებში გამარჯვებული თითო გუნდი გადაეკვანილ იქნება „ნ“-დან „ა“ კლასში.

თბილისიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელმაც წვრთნა ბათუმში და გაიარა. გუნდში შეყვანილია ახალგაზრდა მოთამაშეები.

„ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა 17 აპრილიდან დაიწყება. თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდი პირველ კალენდარულ მატჩებს თბილისში გამართავს. 18 აპრილს იგი შეხვდება ქ. ვორონეჟის ფეხბურთელებს, 24 აპრილს — ქ. კალინინის გუნდს, 28 აპრილს — ბაქოს „ნეფტიანიკს“.

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე

ხარკოვში დამთავრდა სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს 1955 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად იბრძოდა სპორტსმენთა 12 კოლექტივი. მათ შორის იყვნენ მოსკოვის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სხვა გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა აზერბაიჯანის მოჭიდავეთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს გუნდი, მესამეზე — უკრაინის მოჭიდავეები.

საქართველოს მოჭიდავეებიდან „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები კლასიკურ ჭიდაობაში გახდნენ სპორტის ოსტატები ა. მაისურაძე (ჩიატე წონა) და ო. კანდელაკი (მძიმე წონა). სპორტის ოსტატმა ვ. მაისურაძემ (ქვესაშუალო წონა) მეორე ადგილი დაიკავა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 85 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი 18-დან 24 აპრილამდე მნახველთათვის ღია იქნება დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

ჯგუფური ექსკურსიების წინასწარი ჩაწერა წარმოებს მუზეუმის ფილიალის საექსკურსიო ბიუროში.

ტელეფონი 3-14-84, კომუტატორი 3-05-60.

რედაქტორი ნ. ჯაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1955/56 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: პედიატრია — 1, ჰიგიენა — 1, ინფექციური სნეულებანი — 1, რენტგენოლოგია — 1 და თერაპია — 1.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები არა უმეტეს 40 წლის ასაკისა.

საკონკურსო მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ სპეციალობაში მუშაობის სტაჟი არანაკლებ სამი წლისა.

ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადება უნდა შემოიტანოს დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული, საქმიანი დახასიათება მუშაობის ადგილიდან, ცნობა სტაჟის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, მეცნიერული შრომები, მათი სია, მეცნიერული შრომა ან რეფერატი სპეციალურ საკაბში და ორი ფოტოსურათი.

გამოცდები იწყობოდეს 15 ივნისიდან 1 ივლისამდე შემდეგ დისციპლინებში:

1. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, 2. სპეციალურ დისციპლინაში, 3. რუსულ ენაში და ერთ უცხო ენაში.

განცხადებები მიიღება 15 აპრილიდან 15 მაისამდე.

საბუთები მიიღება სამედიცინო ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში (მელიქიშვილის ქ. № 10).

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

17 აპრილს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

„შრომითი რეზერვები“ — ლენინგრადი

(დუბლიორთა შემადგენლობა)

„დინამო“ — თბილისი

(დუბლიორთა შემადგენლობა)

დასაწყისი 2 საათზე

„შრომითი რეზერვები“ — ლენინგრადი

(ძირითადი შემადგენლობა)

„დინამო“ — თბილისი

(ძირითადი შემადგენლობა)

დასაწყისი 4 საათზე.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში დუბლიორების თამაში გადატანილი იქნება 26 კომისრის რაიონის სტადიონზე. ბილეთების წინასწარი გაყიდვა წარმოებს 15 აპრილის დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

ДЕС

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გორდა, რუსთაველის სახელობის — დღესასწაული საკრეულაში, მარჯანიშვილის სახელობის — მაია წყნეთელი, გრიბოედოვის სახელობის — პორტ-არტური, სომხური დრამის — სასიძოები, მუსიკალური კომედიის — პერიკოლა, მოზარდ მაყურებელთა ქართული — უკანასკნელი ორიანი (ამონტმენტი № 9, 6 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ზოლუშკა (1 ს. და 4 ს.), თოჯინების ქართული — ჩექმებიანი კატა (10ს.), ნანატუყში (4 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — მიედინება მღვრიე წყლები, ამირანი, სპარტაკი, თბილისი, გორკის სახელობის კლუბი — ხუთი ბარსკის ეუჩიდან, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლ. — ჯაშუშების ქსელი, კოლხიდა, ახანი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — მთის სიმღერები, 26 კომისრის სახელობის — წარმოდგენა შედგება, კოლმეურნე — ზღვის მონადირე, კიროვის სახელობის პარკი — ახალი მხატვრული ფილმი, კომუნარების ბაღი — ქალი კამელიებით.

თბილისის სახელმწიფო სირკი

დღეს და ყოველდღე

ძალოსანთა ატრაქციონი

მსოფლიოს რეკორდსმენი

გრიგოლ ნოვაკის

გასტროლები

და დიდი საცირკო წარმოდგენა

3 განყოფილებად.

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 17 აპრილს

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი 1 — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სირკის სალაროებში, რუსთაველის პროსპ. № 1 და № 24, ჩელუსკინელების ქ. № 31.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს

შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. ფიზიოლოგიისა და საექიმო ფიზიკულტურის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 2 მთლიან განაკვეთზე (დამატებით გაზეთ „კომუნისტში“ 1955 წლის 29 მარტს გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული შტატისა იხ. § 9).

2. ფარმაკოგნოზიის კათედრაზე (ბოტანიკის კურსი) დოცენტი — 1 მთლიან განაკვეთზე.

კონკურსის ვადა 29 აპრილამდე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს სამკერვალო მრეწველობის მუშაკთა კოლექტივი იუწყება

ასია გიორგის ასულ ჭკვიანოვას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-IV, 8 ს. გამოსვენება 16-IV, 5 ს. მაბარაძის ქ. № 13.

შვილები ნუში, ევტიხი, ვიქტორ, შალვა ოჯახებით იუწყებიან

ზინაიდა ნიკოლოზის ასულ გაბუნიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-IV, 8 ს. გამოსვენება 17-IV, 3 ს. ატენის ქ. № 19.

შვილი თინა ჯმუხაძე ოჯახით იუწყება

ეკატერინე დავითის ასულ კვინიკაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-IV, 8 ს. გამოსვენება 16-IV, 6 ს. პლეხანოვის პრ. № 171.

მოქალაქე ეკატერინე გრიგოლის ასულმა დარიბოვამ, მცხოვრებმა წავკისის ქ. № 8, აღძრა საქმე გოგებაშვილის ქ. № 36 მცხოვრებ მოქალაქე ეორა კარპეს-ძე კუპალიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე რუბენ გიორგის-ძე ბარამიძემ, მცხოვრებმა ამირეთის ქ. № 78, აღძრა საქმე ბათუმის ქ. № 20 მცხოვრებ მოქალაქე ვერა ლეონტის ასულ ბარამიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ირაიდა ალექსანდრეს ასულმა დიკანმა, მცხოვრებმა ქ. თბილისში, კლარა ცეტკინის ქ. № 94, აღძრა საქმე ქ. მოსკოვში, ბალიუგის ქ. № 1 მცხოვრებ ხერგი სავლეხ-ძე დიკანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ალექსანდრე, შვილები ჟუჟუნა, დავით ოჯახებით იუწყებიან

ვერა დიანოზის ასულ ტორონჯაძე-მიმინოშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-IV სოფელ ნორიოში (აბაშის რაიონი).

შვილები მარო, მიშა ოჯახებით იუწყებიან

იუსტინე სტეფანეს ასულ თოდაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-IV, 4 ს. საჩხერეში.

შვილები ნინო. ალეკო ასათიანები ოჯახით და ნათესავებით იუწყებიან

ანა პავლეს ასულ ასათიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-IV ქ. ქუთაისში, გამოსვენება ზინიდან, ცხაკაიას ქ. № 7.

მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება

კოტე ლუკას-ძე ბაქანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-IV 8 ს. გამოსვენება 16-IV, 5½ ს. საგურამოს ქ. № 18.

მეუღლე მარგო, შვილები შურა, იურა და ნათესავები იუწყებიან

გიორგი ალექსანდრეს-ძე ბეგიჯანოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-IV, 8 ს. გამოსვენება 17-IV, 4 ს. სოფლის ქ. № 15.

**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: